რეცენზია ბექა მაკარაძის მონოგრაფიაზე - „თურქეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში“ (2000-2017 წწ.), თბილისი, 2019.

ჩვენი მეზობლისა და სტრატეგიული პარტნიორების - თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების უახლესი ისტორიისა და დღევანდელი მდგომარეობის სათანადო ცოდნა გამორჩეული მნიშვნელობის მატარებელია. ამ მხრივ მეტად მცირეა ნაშრომები, რომლებიც აღნიშნულ სკითხებს ასახავს. დოქტორანტ მაკარაძის ნაშრომი კი უდავოდ მნიშვნელოვანი შენაძენია და ავსებს ზემოაღნიშნულ სიცარიელეს.

წიგნი ორი თავის, ათი ქვეთავისა და დასკვნისაგან, რომელსაც თან ერთვის რეზიუმე ინგლისურ ენაზე და გამოყენებული ლიტერატურის სია.

ნაშრომში დაწვრილებითაა აღწერილი თურექთ-ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია ცივი ომის შემდგომ პერიოდში. XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის 10-იან წლებში თურქეთ - ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობამ საერთაშორისო საზოგადოების სერიოზული ყურადღება მიიპყრო.

ცივი ომის დასრულებიდან დღემდე თურქეთის რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობას, ძირითადად, უსაფრთხოებაზე ზრუნვა განსაზღვრავდა. ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში დროდადრო საერთო, ზოგჯერ კი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიზნები იკვეთებოდა. ამის პარალელურად, აღმავლობისა და დაღმავლობის პერიოდები შეინიშნებოდა ეკონომიკურ ურთიერთობებშიც. სწორედ უსაფრთხოების პოლიტიკა წარმართავდა თანამშრომლობას ორ ქვეყანას შორის. ერთ მხარეს იყო ცივი ომის პერიოდში არსე-

ბული ორი პოლუსიდან ერთ-ერთის ლიდერი - აშშ-ი, მეორე მხარეს კი - თურქეთი, რეგიონში მნიშვნელოვანი, მაგრამ აშშ-ზე ძლიერ დამოკიდებული ქვეყანა.

თურქეთი, აშშ-თან ერთად, ნატოს ბლოკში ყოფნის მიუხედავად, ყოველთვის როდი გრძნობდა თავს უსაფრთხოდ. ანკარის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეფასებისას აუცილებელია, აშშ-თან ურთიერთობის გათვალისწინება, რადგანაც სწორედ ის ახდენდა ყველაზე დიდ გავლენას თურქეთის პოლიტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი ქვეყნის რეალური და პოტენციური ძალა თანაბარი არ იყო, ცივი ომის წლებში თურქეთი იქცა ნატოსა და დასავლეთის ბლოკის დასაყრდენად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ის ერთ-ერთი იყო იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც აღმოსავლეთ და დასავლეთ ნახევარსფეროების გამყოფ გზა გასაყარზე აღმოჩნდა. ალბათ, ამიტომაც, ანუ გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებების გამო, თურქეთი მსოფლიო პოლიტიკაში განსაკუთრებული პირობების მქონე ქვეყნად წარმოჩნდა. აშშ-თან ურთიერთობები, სწორედ, ამ ღერძის ირგვლივ ვითარდებოდა.

საერთო ჯამში, ნაშრომი, მაღალ აკადემიურ დონეზეა შესრულებული. როგორც აღინიშნა უდავოდ ფასეული შენაძენია სტუდენტებისთვის, სპეციალისტებისთვის და დაინტერესებული მკითხველისთვის.

ასოც. პროფესორი მანუჩარ ლორია
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი